

### ტრენინგ-პროგრამის (სასწავლო კურსის) წარსადგენი ფორმა

1. ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის მიმწოდებელი (სტრუქტურული ერთეული-სამსახური) და სტატუსი (თანამდებობა-პოზიცია): მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
2. ტრენინგ-მოდულის / ტრენინგ-პროგრამის განმახორციელებელი (სტრუქტურული ერთეული-სამსახური): რეგიონული კოორდინაციის სამსახური.
3. ტრენინგ-მოდულის / ტრენინგ-პროგრამის დასახელება: **„რთული ქცევის მართვა“**
4. ტრენინგ-მოდულის / ტრენინგ-პროგრამის ჯგუფი/ჯგუფები:
  - 4.1 უფასო ტრენინგის ჩატარების შემთხვევაში - საჯარო სკოლების პედაგოგები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.
  - 4.2 ფასიანი ტრენინგის ჩატარების შემთხვევაში განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.
5. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მსმენელთა დასაშვები რაოდენობა:
  - 5.1. უფასო ტრენინგის შემთხვევაში: 15-20
  - 5.2. ფასიანი ტრენინგის შემთხვევაში: 10-20
6. რეგიონული დაფარვა: საქართველო
7. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის ხანგრძლივობა და დროში განაწილება: 5 საათი (8 დღე)  
**კურსი არის 8 დღიანი. თითოეული სატრენინგო დღე შედგება 5 საკონტაქტო საათისგან. ჯამში შეადგენს 40 საკონტაქტო საათს.**

*შენიშვნა: მოდული შეიძლება ჩატარდეს როგორც მიყოლებით, ასევე შესაძლებელია ჩატარდეს გარკვეული ინტერვალებით ჯგუფის საჭიროებებიდან გამომდინარე (მაგ. რეგიონებში). საჭიროების შემთხვევაში ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის ჩასატარებელი დღეებისა და საათების რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.*

**8. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო)რაოდენობის მითითებით: კურსის ხანგრძლივობა ჯამში შეადგენს 40 საკონტაქტო საათს და 20 დამოუკიდებელი მუშაობის საათს; ჯამში 60 საათი. პროგრამის მოცულობა შეადგენს 2 კრედიტს.**

**9. ადამიანური რესურსი:**

მოდული შეიმუშავა და პილოტირება ჩაატარა თამარ ნაკაიძემ. მოცემულ ეტაპზე რეკომენდებულია ტრენერების რაოდენობის გაზრდა, ტრენერთა ტრენინგის ჩატარების შემთხვევაში მოდულს ჩაატარებს ცენტრის მიერ შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი ინკლუზიური განათლების სხვა ტრენერებიც. ტრენინგს ატარებს 1 ტრენერი, თუ ტრენერი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია, ტრენინგი უნდა ჩატარდეს წყვილში..

**10. მატერიალური და ტექნიკური კონკრეტული სასწავლო რესურსი:** ფლიპჩარტი; მარკერი სხვადასხვა ფერის, ფერადი ფურცლები; პროექტორი, ლეპტოპი, ხმის გამამძიერებელი (დინამიკი), ამობეჭდილი წერილობითი მასალები.

**11. სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები:** სერტიფიკატის (მოქმედი პედაგოგის შემთხვევაში კრედიტ ქულების) მისაღებად მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შეფასების სქემით გათვალისწინებული მოთხოვნები: დაესწროს მოდულის მინიმუმ 80% და, ამასთან, შეფასების სქემიდან დააგროვოს მინიმუმ 60 პროცენტი - 30 ქულა.

**12. მსმენელის შეფასების სისტემა:** კურსის მონაწილეები ასრულებენ დავალებას, რომელიც ფასდება მაქს. 50 ქულით.

ამასთან, სავალდებულოა მონაწილის დასწრება ტრენინგის საკონტაქტო საათების მინიმუმ 80%-ზე. გაცდენების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20% ს. წინააღმდეგ შემთხვევაში მონაწილე არ შეფასდება.